

კონკრეტული შეტყობინება შესყიდვის შესახებ

მოწვევა პრეკვალიფიკაციაზე

საქართველო

ბაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი

UWSCG-IPC-CW-Lot 1 ბაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების განახლება

2021 წლის 26 თებერვალი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც დამკვეთი) საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირისაგან მიიღო ფულადი სახსრები, რათა დააფინანსოს ბაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტი და გეგმავს, რომ აღნიშნული ფულადი სახსრების ნაწილი გამოიყენოს ბაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების განახლებისთვის UWSCG-IPC-CW-Lot 1.

დამკვეთს სურს, ჩაატაროს ფირმების პრეკვალიფიკაცია სამუშაოების შემდეგი მოცულობებისათვის, რაც უნდა განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში:


1. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კანალიზაციის მილების დაზიანებების შესახებ ინფორმაციის შემოწმება, არსებული კანალიზაციის მილების დეტალური კვლევა, მათ შორის, ტოპოგრაფიული კვლევა, გაწმენდა და CCTV ინსპექტირება. კვლევის შედეგად უნდა გამოვლინდეს შესაცვლელი მონაკვეთები. კანალიზაციის მილების CCTV კვლევა და გაწმენდა უნდა შეთანხმდეს ინჟინერთან და დამკვეთთან;
2. კანალიზაციის ახალი შემკრები სისტემა დაპროექტებულია CBMC საინჟინრო კომპანიის მიერ. კონტრაქტორმა უნდა დაამუშაოს (ა) ციფრული ჰიდრაულიკური მოდელი და (ბ) მთლიანი კანალიზაციის სისტემის დეტალური პროექტი CBMC-ს პროექტისა და არსებული კანალიზაციის მილების კომბინირების გათვალისწინებით (სადაც ეს იქნება შესაძლებელი პირველ პუნქტებში მოცემული კვლევის მიხედვით). კომბინირებული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს კ. სურამისა და იმ ზონების ქსელის პროექტებს, სადაც არ არის ქსელი, როგორცაა ზემო ოსიაური და ცხრაბუხა.
3. CMBC-ს მიერ მომზადებული წყალმომარაგებისა და გამანაწილებელი მილების სისტემის პროექტის განახლება.
4. მუშა ნახაზების სრულყოფა მილებისა და მნიშვნელოვანი გადაკვეთების (მთავარი გზები, წყლის კალაპოტი, რკინიგზები) დეტალური ადგილების მითითებით.
5. შეზღუდული ბიუჯეტის გათვალისწინებით, ასევე, ინჟინერთან და დამკვეთთან შეთანხმებით, უნდა შეირჩეს ზონების, რათა მოხდეს წყლის გამანაწილებელი მილების კანალიზაციის მილებთან ერთად მშენებლობა.
6. გეგმების, გრაფიკებისა და ანგარიშების მომზადება, კერძოდ (და არა მხოლოდ): დემონტაჟის გრაფიკი/გეგმა, გარემოს წინასწარი კვლევის (IEE) და ჯეროვანი გადახედვის ანგარიშის განახლება, ობიექტზე ნარჩენების მართვის გეგმა, ობიექტზე მტვერის მართვის გეგმა, ობიექტზე ზედაპირული წყლის მართვის გეგმა (თუ საჭიროა), ობიექტზე ექსკავირებული მასალების მართვის გეგმა, ობიექტზე ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა, სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა და თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა.

7. შერჩეული მილსადენის მონაკვეთების (წყალი და კანალიზაცია) დაკავშირებულ ობიექტებთან ერთად მშენებლობა დაახლოებითი მოცულობა შემდეგია:
 - a. დაახლოებით 185 კმ სიგრძის HDPE წყლის გამანაწილებელი მილების DMA კამერებთან, სახლის დაერთებებისა და წყლის მრიცხველების (დაახლოებით 8100 ც), საიზოლაციო ურდულებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობასთან ერთად პროექტისა და კვლევების მიხედვით. ქსელი უნდა დაიყოს 8 საუბნო აღრიცხვის ზონად.
 - b. არსებული კანალიზაციის მილების რეაბილიტაცია/შეცვლა. ზუსტი მოცულობა დადგინდება განისაზღვრება კვლევებისა და პროექტების დროს.
 - c. ხაშურის კანალიზაციის სისტემის გაფართოება ახალი HDPE ან PP კანალიზაციის გოფრირებული მილებით, დაკავშირებული ინსპექტირების კამერებით, დაახლოებით 2-5 ადგილობრივი სატუმბო სადგურითა და სახლის დაერთებებით. ზუსტი მოცულობა დადგინდება განისაზღვრება კვლევებისა და პროექტირების დროს.
8. წყალმომარაგების ძველი სისტემის, ასევე, შესაძლოა, ძველი კანალიზაციის სისტემის მონაკვეთების ექსპლუატაციიდან ამოღება.
9. გზების აღდგენა.
10. მილების ექსპლუატაციაში ჩაშვება.
11. საშემსრულებლო ნახაზები CAD ფორმატში და GIS მონაცემთა ბაზაში დამკვეთისათვის მისაღები ფორმით.

ქვემოთ მოცემულ პირველ და მეორე რუკებზე წარმოდგენილია არსებული კანალიზაციის სისტემა და წყალმომარაგების დაპროექტებული ქსელები:



რუკა 1. ხაშურის არსებული კანალიზაციის სისტემა.



რუკა 1. ხაშურის წყლის გამანაწილებელი საპროექტო სისტემა

მოსალოდნელია, რომ სატენდერო წინადადებების მიღების შესახებ მოწვევები გაიგზავნება **2021 წ. მარტში**.

განხორციელების პერიოდი

კონტრაქტის მთლიანი განხორციელების პერიოდია 12 + 42 თვე, მათ შორის, შემდეგი ფაზები:

- (i) დამატებითი კვლევები (მათ შორის, არსებული კანალიზაციის მილების CCTV ინსპექტირება), პროექტირება, დამტკიცება, სამშენებლო ნებართვების მოპოვება - ხანგრძლივობა 12 თვე;
- (ii) მშენებლობისა და ექსპლუატაციაში ჩაშვების ფაზა - ხანგრძლივობა 30 თვე;
- (iii) დეფექტების ცნობის პერიოდი - ხანგრძლივობა 12 თვე;

დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისგან“ (მისამართი მოცემულია ქვემოთ) სამუშაო საათების დროს **10-დან 17 საათამდე (ადგილობრივი დრო)**. დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ პრეკვალიფიკაციის დოკუმენტების **ინგლისურ ენაზე** შეძენა ქვემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განცხადების წარმოდგენით და არაანაზღაურებადი თანხის **330 ლარის ან 100 აშშ დოლარის ექვივალენტის** გადახდით. გადახდის მეთოდი: **ნაღდი ანგარიშსწორება ან ელექტრონული ტრანზაქცია დამკვეთის შემდეგ საბანკო ანგარიშებზე**:

აშშ დოლარის ანგარიში: ანგარიშის ნომერი GE40LB0113123325230096, ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი (SWIFT კოდი: LBRTGE22), ან

ქართული ლარის ანგარიში: ანგარიშის ნომერი GE67LB0113123325230095 ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი (SWIFT კოდი: LBRTGE22)

შესყიდვის შემდეგ პრეკვალიფიკაციის დოკუმენტების სრული კომპლექტი გაიგზავნება აპლიკანტის მიერ მოწოდებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე

პრეკვალიფიკაციის აპლიკაციები წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ კონვერტებში და მიწოდებული უნდა იყოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2021 წ. 15 აპრილის 15:00 სათამდე (ადგილობრივი დრო) და აპლიკაციაზე ნათლად უნდა იყოს აღნიშნული დასახელება და ნომერი: „ხაშურის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტის პრეკვალიფიკაციის აპლიკაცია, UWSCG-IPC-CW-Lot 1: წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების განახლება ხაშურში“.

ოფისი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;

მისამართი: ირინა ჩიხლაძე, პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; ნინო აბულაძე, საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მისამართი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სათავო ოფისი, მე-4 სართული (კანცელარია), ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ, თბილისი, საქართველოს (0186)

ტელეფონი: +995 032 2 91 90 60

ელექტრონული ფოსტა: N.Abuladze@water.gov.ge; ana.onashvili@water.gov.ge;

ვებგვერდის მისამართი: <http://water.gov.ge/>